სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

05/08/2024

MES 5 24 0000942405

სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 18 ივნისის MES 0 24 000001.1/73 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის N 01-05-04/102 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (https://students.emis.ge) რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024 წლის

12-19 სექტემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა). საბუთები მიიღება 10 ^{00} სთ-დან - 16 ^{00} სთ-მდე; მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრციული კორპუსი; მე-3 სართული; ოთახი 334;

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ.ბუაჩიძეს.
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;
4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ადმინისტრაციას მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 3) და შედეგების მობილობის მსურველთათვის გაცნობა არაუგვიანეს 2024 წლის 20 სექტემბრისა;
5. ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 4) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 21 სექტემბრისა;
6. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ერთიანი ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვა უზრუნველყოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ